ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

# 47 (10085) •1 dekemberi • 2014 w.

# ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

## „ქალზე ძალადობა დანაშაულია – შეაჩერე“

*„თქვენ მარტო არ ხართ, ჩვენ მარტო არ ვართ, შეაჩერე, ნუ დახუჭავ თვალს ძალადობაზე“... ამ, და სხვა მიმართვებით გამოვიდნენ 25 ნოემბერს ოზურგეთის საზოგადოების წარმომადგენლები თეატრალურ მოედანზე და პირველ საათზე ქალთა მოძრაობის მიერ ორგანიზებულ ქსელურ აქციას შეუერთდნენ.*

*2014 წელს, 10 თვის მანძილზე საქართველოში 25 ქალი მოკლეს. ამ რიცხვს არ მიეკუთვნება ის შემთხვევები, რაც ფატალური შედეგით არ დასრულებულა. მათი ზუსტი რაოდენობა არ არის ცნობილი.*

*წინა წელს ძალადობის 5447 ფაქტის ირგვლივ დაფიქსირდა გამოძახების შემთხვევა. გაიცა მხოლოდ 212 შემაკავებელი ორდერი. ყოველივე ეს ნათელი მაგალითია, იმისა, თუ რამდენად დაუცველია ქალი კანონმდებლობისა და საზოგადოების გულგრილობის გამო.*

*აქციაზე წაიკითხეს მანიფესტი, მონაწილეებს გააცნეს პეტიცია, რაც საკანონმდებლო ცვლილებებსა და ხელისუფლების მიდგომის შეცვლას ითვალისწინებს აღნიშნული საკითხის მიმართ. მოქალაქეებმა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული მხარდაჭერა პეტიციაზე ხელმოწერით დაადასტურეს.*

*აქციის თანაორგანიზატორი ოზურგეთში გახლდათ არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“ (ხელ-ლი, ქეთევან ხიდაშელი), ფონდ სოხუმის პროექტით შექმნილი ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭო (ხელ-ლი, ლელა ნაცვალაძე). აქციას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.*




* * *

*27 ნოემბერს საიას ოზურგეთის ორგანიზაციის ოფისში ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მიმართული შეხვედრა მრგვალი მაგიდის ფორმატში გაიმართა. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თამაზ ტრაპაიძემ გურიის რეგიონში არსებულ იმ სტატისტიკაზე ისაუბრა, რისი მიმართვიანობაც მათ ოფისს მიმდინარე წლის განმავლობაში ჰქონდა. 25 კონსულტაცია, მათ შორის 4 სატელეფონო, რაც საიას ოფისმა განახორციელა ოზურგეთსა და ჩოხატაურში.*

*–„ აღსანიშნავია ბოლო ფაქტი, როცა ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდა მამაკაცი, რომელსაც ძალიან უჭირდა საკუთარ პრობლემებზე საუბარი. ასევე საყურადღებოა განქორწინების და ალიმენტის შემთხვევებზე დახმარებისათვის მომართვიანობა. რაც კვირაში სულ ცოტა, ოთხჯერ მაინც ფიქსირდება“ – აღნიშნა გამომსვლელმა.*

## ინდოელი ინვესტორების საქმიანობა მოსახლეობაში კვლავ ეჭვებს ბადებს



**ალიონი.** გაზეთ ალიონის“ №41-ში დაიბეჭდა ქ. ოზურგეთის, ყაზბეგის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება, ისინი ოზურგეთის მანქანათმშენებელ ქარხანაში ინდოელი ინვესტორების მიერ აკუმულატორების გადამუშავებისას მოსახლეობაში ეკოლოგიურ საფრთხეებზე საუბრობდნენ და ხელისუფლებიდან ქმედით დახმარებას ითხოვდნენ.

ყაზბეგის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიურ წერილს გაზეთ „ალიონის“ საგაზეთო სტატია მოჰყვა: „აღნობენ თუ არა ტყვიას კუსტარულად უცხოელები ოზურგეთის ყოფილ მანქანათმშენებლობის ქარხანაში“

შპს „მანსაროვის“ საქმიანობით უშუალოდ დაინტერესდა ქ. ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე, რომელიც ქარხანაში მივიდა, მაგრამ იმ დროისათვის აკუმულატორების გადამამუშავებელი საამქრო არ მუშაობდა.

როგორც ზაფხულში, ქარხნის წინ გამოკრული ბანერი გვამცნობდა, აქ ტყვიის გადამამუშავებელ საამქროს შპს „ჯეოგადამამუშავებელი“ აშენებს. „ჯეოგადამუშავებელს“ ჰყავს ქართველი და ინდოელი დამფუძნებლები. ინდოელი დამფუძნებელი ერვინ კუმარ შარმაა, რომელიც იმავდროულად, აშვანი მიტტალისთან ერთად, შპს „მანსაროვის“ დამფუძნებელიცაა. ისინი ოზურგეთის მანქანათმშენებელი ქარხნის უშუალო მეპატრონეები არიან, ხოლო ქართველ მანქანათმშენებლებს ამჟამად იჯარით აქვთ აღებული აღნიშნულ ქარხანაში ერთი საამქრო და ინდოელების მიერ დაწესებულ საიჯარო ქირას იხდიან.

როგორც ვწერდით, რედაქციას ჰქონდა ინფორმაცია, რომ ინდოელები ღამით კუსტარულად ტყვიას აღნობდნენ. ამჟამად ეს პროცესი შეაჩერებულია, მაგრამ აკუმულატორების დაშლის პროცესი პერიოდულად კვლავ მიმდინარეობს და აკუმულატორების პლასმასის ნაწილებიდან მარცვლებს ე.წ. „კროშკას“ ამზადებენ და უცხოეთში აგზავნიან.

გასულ პარასკევს, ღამით, გაზეთ „ალიონის“ რედაქციას ქ. ოზურგეთის, ყაზბეგის ქუჩის მცოვრებლები კვლავ დაუკავშირდნენ, ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ამჟამადაც მანქანათმშენებელი ქარხნიდან უცნაური, შემაწუხებელი სუნი მოდიოდა.

„თითქმის ერთი თვეა, უცნაურ სუნს არ შევუწუხებივართ. ახლა ისე ძლიერად მოაქვს რაღაც უცნაური, მძაფრი სუნი, სუნთქვა გვიჭირს. მდინარის გაღმა, მანქანათმშენებელ ქარხანაში ჩანს, რომ მუშაობენ და აკუმულატორებს კვლავ აღნობენ“.

ქარხანაში დაახლოებით 21 საათზე ოზურგეთის თემების და ქალაქის მუნიციპალიტეტების გამგეობების ზედამხედველობის სამსახურების უფროსებთან გელა ჭანუყვაძესთან და შუქრი გაბრიჩიძესთან ერთად მივედით.

თავდაპირველად უარი მივიღეთ კერძო

▶▶▶ გვ-3

## ოზურგეთის თეატრის ახალ დეკორაციას პირველად „დონ ჟუანი“ მოირგებს

### ახალი დეკორაციის და თანამედროვე სასცენო განათების რუსთავიდან ოზურგეთში ტრანსპორტირების ხარჯები ქალაქის მერიამ გაიღო

ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი მორიგი პრემიერის ჩასაბარებლად ემზადება. პრემიერაზე თეატრი ახალ დეკორაციასა და თანამედროვე სასცენო განათებას მოირგებს, რომლის რუსთავიდან ტრანსპორტირების ხარჯები ქალაქ ოზურგეთის მერიამ გაიღო. მოკლედ, გურიის სათავო ქალაქის სცენაზე „დონ ჟუანი“ დეკემბრის დასაწყისში დაიბადება. ახალშობილს მაყურებელი მხოლოდ გაზაფხულზე ნახავს, როცა ცოტა დათბება და დარბაზში ხალხი არ გაითოშება.

„დონ ჟუანის დაბადება“ ოზურგეთში დიდ ინტერესს იწვევს. გასულ პარასკევს, 28 ნოემბერს „ალიონის“ რედაქციას შესაძლებლობა ჰქონდა, სცენაზე გადაეღო მომავალი პრემიერის კადრები და გასაუბრებოდა სპექტაკლის შემქნელებს ბატონებს, გიორგი კაჭარავასა და ვასილ ჩიგოგიძეს:

**გიორგი კაჭარავა**, დრამატურგი, რეჟისორი: „ვასოს გაუჩნდა იდეა, ამ პიესისათვის, რომლის მიხედვითაც ფილმიც არის გადაღებული, მიგვეცა სპექტაკლის სახე. ფილმები ძველდება, ხოლო სპექტაკლები აცოცხლებს ნაწარმოებს. მადლობის მეტი რა მეთქმის ამ სპექტაკლის გაცოცხლებისთვის სცენაზე, მით უმეტეს, ოზურგეთის თეატრის ისტორიულ სცენაზე.

დონ ჟუანის თემა ყველა დროში არსებობს და იარსებებს, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ღია ფორმით ის არ

▶▶▶ გვ-2



## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბათი | პარასკევი | შაბათი | კვირა |
| 1.12 | 2.12 | 3.12 | 4.12 | 5.12 | 6.12 | 7.12 |
| წვიმა, | მცირე თოვლი | ღრუბელი | წვიმა | წვიმა, | წვიმა | მზე, |
| +4+9 | +6+9 | +7+11 | +11+17 | +6+16 | +5+12 | +10+16 |

# ჟურნალ „აიია ძლევაის“ პრეზენტაციაზე

**ალიონი.** ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ჟურნალ „აიია ძლევაის“ პრეზენტაცია გაიმართა. როგორც ჟურნალის რედაქტორმა ფირუზ დიაკონიძემ თქვა, პრეზენტაციის მიზანი იყო, გაეცნოთ საზოგადოებისათვის რა არის ჟურნალის არსი და რას ისახავს მიზნად. საქართველოში ეროვნულად განწყობილი ხალხი უნდა დავაკავშიროთ ერთმანეთს. საქართველოში საზოგადოებას სამ სფეროში - პოლიტიკაში, რელიგიასა და მეცნიერებაში უჭირს. მიმდინარეობს მეცნიერების გაყალბება, პოლიტიკოსები არ ითვალისწინებენ ხალხის ინტერესებს, ისინი მხოლოდ უცხოელთა ინტერესებს იცავენ. პრობლემებია რელიგიაშიც. ამიტომ გვინდა წმ. ილია მართლის საზოგადოების აღდგენა. დღეს ჟურნალის პრეზენტაცია ილია მართლის საზოგადოების ოზურგეთის განყოფილებასთან შეხვედრაცაა, - განაცხადა დიაკონიძემ. ჟურნალი „აიია ძლევაი“ 5 განყოფილებისაგან შედგება: წინაპართა ხმა; მამული, ენა სარწმუნოება; მეცნიერება; ჩვენ და მსოფლიო; დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს. ჟურნალი ყოველთვიურად გამოვა.

# „მახარაძიდან ოზურგეთამდე“

**ალიონი.** გასულ პარასკევს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიხსნა ფოტოგამოფენა „მახარაძიდან ოზურგეთამდე.“ ფოტოგამოფენა ორგანიზებულია ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრისა და ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მიერ. გამოფენაზე წარმოდგენილია გასული საუკუნის 50-იან, 60-იან წლებში გადაღებული ქ. მახარაძის შენობებისა და ქუჩების ამსახველი უნიკალური ფოტოები, რომლებიც ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის სპეციალურ ფონდებშია დაცული და ამავე ადგილის ამსახველი თანამედროვე ფოტოები. როგორც დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ხელმძღვანელმა გოგი მახარაძემ გვითხრა, ამ ფოტოგამოფენის მიზანია ბოლო 50-60 წლის განმავლობაში ქალაქში მომხდარი ურბანული ცვლილებების წარმოჩენა, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა, ურბანული დაგეგმვისა და განვითარების შესახებ საზოგადოებაში მსჯელობებისა და დისკუსიების წახალისება. გამოფენის გახსნას ძირითადად სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და ჟურნალისტები ესწრებოდნენ. იყვნენ უცხოელი მოხალისეებიც. გამოფენა 26 დეკემბრამდე გაგრძელდება.

# „ეტალონი“ ოზურგეთში

გასულ კვირას ოზურგეთში მედიაპროექტ „ეტალონის“ შემოქმედებითი ჯგუფი, გოჩა ტყეშელაშვილის ხელმძღვანელობით, ოზურგეთში იმყოფებოდა. სტუმრები მიიღეს ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი რგოლების პირველმა პირებმა.

შეხვედრის მიზანი იყო „ეტალონის“ რეგიონებში ჩატარების აუცილებლობა სტუმარ-მასპინძლების შეთანხმების საფუძველზე, მედიაპროექტი „ეტალონი“ უახლოეს პერიოდში მოამზადებს ერთ გადაცემას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ოზურგეთელი უფროსკლასელი მოსწავლეები.

## სამადლობელი

მადლობას ვუხდი №3 ბაგა-ბაღის გამგეს ნინო მშვიდობაძეს, პედაგოგებს ლალი სამსონიას და ნათია ჟორიძეს, აღმზრდელს გულიკო მამალაძეს, მთელ პერსონალს იმ გულისხმიერებისა და სიყვარულისათვის, რასაც ჩვენი ბავშვებისათვის აკეთებენ.

**ნელი ლაგაზაშვილი**

# სოფელ ვაკიჯვარში ბრუცელოზით ადამიანები დაავადდნენ

**ალიონი.** გაზეთმა „ალიონმა“ რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა ბრუცელოზის და სხვა ინფექციური დაავადებების თემებზე, თუმცა სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურიდან პასუხი ივით, რომ „ცენტრში“ პრესსამსახურისათვის უნდა მიგვემართა.

ამჯერად გაზეთ „ალიონს“ ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა მოაწოდა.

**მაია ქუთიძე,** საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მთავარი ექიმი: — თქვენი გაზეთიც წერდა, რომ სხვასხვა სოფლებში იყო ბრუცელოზის შემთხვევები. წლეულს, 18 აგვისტოს „მედალფაში“ სოფელ ვაკიჯვრის ერთ-ერთი მოქალაქე მივიდა ბრუცელოზისათვის დამახასიათებელი ჩივილებით. „მედალფამ“ დაავადების დასადგენად ანალიზისათვის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის გურიის განყოფილების ლაბორატორიას მიმართა. დადგინდა ბრუცელოზის ფაქტი.

სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს გურიის სამმართველოს ვეტერინარული სამსახურის ჩარევით, სოფლებში — ვაკიჯვარსა და ფამფალეთში ჩატარდა პირუტყვის გამოკვლევა. 10 კომლში დაფიქსირდა ბრუცელოზით დაავადებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. მის შემდეგ დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის სპეციალისტებმა, საერთაშორისო ორგანიზაცია „ბათელასთან“ ერთად, დაიწყეს ვაკიჯვრის თემში კარდაკარ ჩამოვლა, შედეგად გამოვლინდა ბრუცელოზით დაავადებული კიდევ სამი ადამიანი. მათ თბილისში, პარაზიტოლოგიის ინსტიტუტში დაუდგინდათ ბრუცელოზის ანტიბიოტიკური თერაპია და დაეწყოთ ამბულატორიული მკურნალობა, რომელიც შეიძლება 6 თვიდან ერთ წლამდე გაგრძელდეს, პაციენტებზე კონტროლს ვაკიჯვრის ამბულატორიის ექიმი და საზოგადოებრივი ჯანდაცვა ახორციელებენ. ნოემბერში. გარდა ამისა, ვაკიჯვრის თემში შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობა გავწიეთ.

**— ქალბატონო მაია, რა გზით გადაეცემა ბრუცელოზი ადამიანს?**

— ბრუცელოზი გადაეცემა კონტაქტური (ავადმყოფი ცხოველის სხვადასხვა გამონაყოფთან შეხება, პირიტყვის ტყავისა და მატყლის დამუშავება) გზით; საკვებით — ინფიცირებული, თერმულად დაუმუშავებელი (აუდუღარი, მოუხარშავი) ცხოველური პროდუქტების გამოყენებით: ასპირაციული გზით: ბრუცელას ბაქტერიებით დასნებოვნებული მტვრის, მშრალი ნაკელის, მატლის ნაწილაკების პირის, ცხვირისა და თვალის ლორწოვანში მოხვედრით.

**— როგორ მივიტანოთ ეჭვი ბრუცელოზზე?**

— ადამიანის ბრუცელოზი ხშირად უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ინკუბაციური (ფარული) პერიოდი გრძელდება ერთი კვირიდან რამდენიმე თვემდე.

დამახასიათებელი სიმპტომებია: ცხელება, ზოგადი სისუსტე; ოფლიანობა, განსაკუთრებით ღამით (სპეციფიკური, არასასიამოვნო სუნის ოფლი); სახსრების, კუნთებისა და თავის ტკივილი; მადის დაქვეითება, წონაში კლება; დეპრესია, უძილობა, დაქვეითებული კონცენტრაცია.

— როგორ უნდა მოიქცნენ ადამიანები, როცა საეჭვო სიმპტომებს შეამჩნევენ?

— დაუყონებლივ უნდა მიმართონ ექიმს. დროული მკურნალობით ბრუცელოზი იკურნება, არ ქრონიკულდება, არ სრულდება ინვალიდობით, არ იწვევს უშვილობას.

თუ ეჭვი გაუჩნდებათ, რომ შინაურ ცხოველებს ბრუცელოზი დაემართა — უნდა მიმართონ ვეტერინარს.

**— რა პრევენციული ზომები უნდა მიიღოს ვეტერინარულმა სამსახურმა?**

— ზოგადად, ვეტერინარული სამსახურები ადგილებზე ძალიან შემცირებული შტატითაა წარმოდგენილი. უნდა მოხდეს დაავადებული პირუტყვის სადგომების დეზინფექცია, დაავადებული პირუტყვი უნდა იკვლებოდეს ცალკე სასაკლაოზე (რაც არ გაგვაჩნია) და ა.შ. ახლა მთავარია, ბრუცელოზი შევაჩეროთ!

# ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“ 50 წლისაა

**ალიონი** ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული “ 50 წლისაა

საიუბილეო ზეიმი გახსნა ცენტრ „ანასეულის“ დირექტორმა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიურმა დოქტორმა, ქალბატონმა რუსუდან ტაკიძემ. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მიულოცა თანამშრომლებს წარმოების 50 წლისთავი და ისაუბრა ცენტრ „ანასეულის“ მიღწეულ წარმატებებზე 50 წლის განმავლობაში. აღნიშნა, რომ ლაბორატორია შეიქმნა 1964 წლის 23 ნოემბერს, ბრძანება ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიეროკვლევით ინსტიტუტთან, სახელწოდებით დასავლეთ საქართველოს ზონალური აგროქიმიური ლაბორატორია. ლაბორატორიის ხელმძღვანელად დაინიშნა ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ადამ ბერიძე, რომელმაც ჩამოაყალიბა და შექმნა ეს ლაბორატორია. პირველი დირექტორის ხსოვნას დამსწრე საზოგადობამ წუთიერი დუმილით სცა პატივი.

მომხსენებელი მიესალმა ლაბორატორიის პირველ თანამშრომლებს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს ჯ. ლოლაძეს, ც, სიმონიშვილს, ა.სიხარულიძეს, ა.არსენიძეს, ლ.ხომერიკს, ნ.კვაჭანტირაძეს, მ.ურუშაძეს.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ოზურგეთის საპატიო მოქალაქე, ცენტრ ანასეულის ყოფილი დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ბატონი არსენ კეჭაყმაძე, მან აღნიშნა, რომ იგი 27 წელი ხელმძღვანელობდა ამ ლაბორატორიას, მისი ხელმძღვანელობის პერიოდში აშენდა ახალი ადმინისტრაციული შენობა, რომელიც დაკომპლექტდა თანამედროვე ხელსაწყო აპარატურით. ლაბორატორიამ ჩაატარა აგროქიმიური გამოკვლევების 5 ტური და დღეს მას გააჩნია ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების დიდი საინფორმაციო ბანკი. ლაბორატორიას უდიდესი გამოცდილება აქვს სოფლის მეურნეობის მუშაკებთან ურთიერთობისა, უწევს მათ საკონსულტაციო სამეცნიერო მომსახურებას.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი



თემურ რევიშვილი.

ცენტრ „ანასეულს“ 50 წლის იუბილე მიულოცა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ავთო მესხიძემ, რომელმაც ლაბორატორიას გადასცა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ამ ნაწარმოებივით მარადიულობა უსურვა.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვეს ოზურგეთის საკრებულოს წევრმა ლავრენტი ბიგვავამ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა გიორგი ჭყონიამ, რომლებმაც აღნიშნეს ამ წარმოების როლი სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

ცენტრ „ანასეულს“ მიესალმა სააქციო საზოგადოება „ფოთი-ტორფის“ დამფუძნებელი ირაკლი მოწერელია.

ცენტრი „ანასეული“ 50 წლის განმავლობაში ემსახურებოდა და დღესაც განაგრძობს მომსახურებას სოფლის მეურნეობის ინტელექტუალური განვითარების საკითხებში, იგი ხიდია მეცნიერებასა და წარმოებას შორის და წარმოადგენს ექსტენციის სამსახურის ერთ-ერთ რგოლს

# ოზურგეთის თეატრის ახალ დეკორაციას პირველად „დონ ჟუანი“ მოირგებს



არის ქართული რეალობის თემა. სპექტაკლი ულტრირებულია, დონ ჟუანი ყველა ქართველისთვის ახლობელია და ამას ვამტკიცებთ დიდ რუსეთთან ურთიერთობაში. იუმორითა და არანაკლებად დონჟუანობით ცნობილი ხალხი ვართ. როგორც ვთქვი, შეიძლება ასეთი ღია თემები არ არსებობს ქართულ სივრცეში, მაგრამ მთავარია, რომ ფილმი მიიღო მაყურებელმა. მრავალი ფესტივალის პრიზიორია არა მარტო საქართველოს მასშტაბით. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სპექტაკლიც მოივლის არამარტო საქართველოს მხარეებს, არამედ ქვეყნის გარეთაც სიამოვნებით ნახავენ, მით უმეტეს, ასეთი კარგი დადგმით, შესრულებითა და მუსიკით.

მე პირველად არ ვარ ოზურგეთში, ეს პირველი წელი არ არის ჩემთვის აქ მუშაობის, ჩვენ დიდი ხნის თანამშრომლობა გვაკავშირებს, გვქონდა დიდი გეგმებიც, რომელთა განხორციელება არ მოხერხდა 25 წლის წინ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო. ვასოს ხელოვნება ყოველთვის მიყვარდა, იგი არის ყოველთვის ცოცხალი, ორგანული, არ არის სნობიზმი.

ქართულ ხელოვნებაში, სამწუხაროდ, რეჟისორებსაც და დრამატურგებსაც უჩნდებათ სნობიზმი, რაც კლავს სპექტაკლს. ვასოს ხელოვნება ყოველთვის ხალასია, ბუნებრივია. მას აქვს დიდი და წარმატებული ისტორია, რა სპექტაკლიც უნდა მომეტანა მასთან, დარწმუნებული ვიყავი წარმატებაში. მე პიესა კიდევ ჩამოვიტანე, ჟანრი ასეთივეა, თემა— სერიოზული. ამაზეც დავილაპარაკებთ. ოზურგეთის თეატრი დიდი ისტორიისა და ტრადიციების თეატრია. ყოველთვის სიამოვნებით შევთავაზებ ჩემი პიესებს, თუ თეატრი მათ დადგმას ისურვებს“.

**ვასო ჩიგოგიძე,** ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი: „წლების წინათ ვაპირებდი ლიტვაში, მილტინისის თეატრში გიორგი კაჭარავას პიესის „ნერონის“ დადგმას. ხოლო „დონ ჟუანის დაბადების“ ამ ვარიანტის დადგმა გადავწყვიტე მაშინ, როცა ოზურგეთის თეატრში დაბრუნებაზე დაიწყო საუბარი. მოგეხსენებათ, გვქონდა პროექტები, რომელთა განხორციელება არ მოხერხდა დაპირებული დაფინანსების მიუღებლობის გამო, დაგვალალატა კულტურის სამინისტრომ. სწორედ ამ მიზეზით დაგვიანდა ამ სპექტაკლის პრემიერა. ამ ზამთარში ჩვენ სპექტაკლს ჩავაბარებთ, რასაც ჰქვია ჩაბარება, ხოლო პრემიერას გავმართავთ გაზაფხულზე, მაყურებელს ვერ გავწირავთ გაყინულ დარბაზში გასაჩერებლად. ჩვენ კი ამ გამყინვარებაში განვაგრძობთ მუშაობას. უბრალოდ, არ მინდა მსახიობს გული გაუტყდეს, როცა დაინახავს, როგორ ტოვებენ მაყურებლები სპექტაკლს კი არა გაყინულ დარბაზს. ამასწინანდელი სახელისუფლებლო ღონისძიება იყო ამის ნიშანი, ნახევარ საათში დაცარიელდა დარბაზი.

ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, თეატრიდან წასვლამდე, 20 წლის წინათ ჩვენ თითქმის მზად გვქონდა პიესები, რომლებიც ვერ შედგა. გიორგი კაჭარავა არის ძალიან ნიჭიერი ხელოვანი, რომელსაც თავისი სიტყვა ნათქვამიც აქვს და კიდევ ბევრს გააკეთებს. გამოირჩევა ხალასი იუმორით, იყენებს ფარსს, ვოდევილს, რაც მე ძალიან მიყვარს. ჩვენ ვთამაშობთ თეატრს, ძალიან მისაღებია ეს თეატრალური ესთეთიკა. ჩვენ მყარად გადავწყვიტეთ, რომ ამ თეატრალურ სეზონში წავა „დონ ჟუანიც“ და „ნერონიც“, რადგან ეს არის ძალიან საინტერესო თემა და ამ ფორმით მიტანა მაყურებლამდე იქნება მომგებიანი და მისაღები.

არ ვმალავ, რომ ვფიქრობთ მაყურებლის აღზრდაზეც, ვფიქრობთ, როგორ მოვიდეთ მაყურებლამდე. ჩვენ გავაკეთებთ „ანტიგონეს“ ანუის ვარიანტში, შემდგომში შეიძლება სხვა ვარიანტში გავაკეთოთ კლასიკური ნაწარმოებები, ამ ფორმას არ დავკარგავთ. მაყურებელს ვუტოვებთ არჩევანს, მას უნდა უხაროდეს თეატრში მოსვლა.

მიხარია, რომ მაყურებელთან ურთიერთობის გზები სწორად გვაქვს ნანახი. თეატრი ესაა, მისი ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი არის მაყურებელი.

# რა გაკეთდება 2014 წლის ბოლო, დეკემბრის თვეში ქალაქ ოზურგეთსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთეულებში?

### მოსახლეობის სახელით, „ალიონის“ მიერ დასმულ კითხვას პასუხობენ ქალაქ ოზურგეთის მერი, ბატონი ბეგლარ სიორიძე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი მერაბ ჭანუყვაძე.



**ბეგლარ სიორიძე:**

— დაგეგმილია 3 380 400 ლარის სამუშაოები;

— საზოგადოებრივი ტრანსპორტის სერვისის სრულყოფის მიზნით, უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ტენდერი და შევიძენთ სამ ერთეულ ავტობუსს, ეს ავტობუსები იმუშავებენ ქალაქში წრიულ მარშრუტებზე და უფასოდ მოემსახურებიან პენსიონერებს, სოციალურად დაუცველებს, პედაგოგებსა, და, რასაკვირველია, მოსწავლეებს;

— დაწყებულია და ქალაქის უბნებში გაგრძელდება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წყალგაყვანილობის სისტემის შეცვლა. აქ ზოგჯერ მოსახლეობის ერთი ნაწილი პარადოქსულად იქცევა: არ გაჭრათ ასფალტი, არ გათხაროთ არხები... წყალგაყვანილობის მილები 1972 წელს შემდეგ არ შეცვლილა და ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა დღეში იქნება. ასფალტის გაუჭრელად და თხრილების გაუღებლად კი ეს პრობლემა ვერ გადაიჭრება. თუმცა, აბსოლუტურად ვეთანხმები მოსახლეობას, რომ წყალგაყვანილობის მილების ჩაყრის შემდეგ, აუცილებელია იმის აღდგენა, რაც დაზიანდა, ასფალტი იქნება თუ გაზონი.

ამ საკითხზე უკვე მქონდა შეხვედრა შესაბამის ორგანიზაციასთან, შენიშვნებიც მივეცი. ამასთან ქალაქის მერიის ზედამხედველობის სამსახურიდან გამოვყავით ერთი კაცი, რომელიც მუდმივ მონიტორინგს გაუწევს მიმდინარე სამუშაოებს. ასე რომ ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაიჭრას, ქალაქის მოსახლეობამ უწყვეტად და თვითდინებით უნდა მიიღოს სასმელი წყალი შემოქმედის სათავე ნაგებობიდან;

— ქალაქის ერთ-ერთ მთავარ საგზაო მაგისტრალზე — დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, ორივე მხარეს დაიგება ტროტუარები და გაკეთდება სანიაღვრე არხები;

— დაიწყება ჯებირსამაგრი სამუშაოები მდინარე ბაზრისწყალზე მოსკოვის ქუჩიდან გაკირულის ხიდამდე. მდინარე მთლიანად ჯებირში მოექცევა და აღარ განმეორდება ისეთი რამ, რაც ბოლო დროინდელ ღვარცოფულ მოვლენებს მოჰყვა, ქუჩაში რომ ადიდებული მდინარე მოედინებოდა.

— ნებისმიერმა ოზურგეთელმა იცის, წვიმის დროს როგორ იტბორება გრიბოედოვის ქუჩა, განსაკუთრებით მრავალსართულიანი სახლების ეზოები. ამ ქუჩაზე გაკეთდება 6 სანიაღვრე არხი. პროექტი უკვე დამტკიცებულია;

— ქალაქის გულის გულია 9 აპრილის ქუჩა, სადაც დღის წესიერი ჭიშკრებიც კი არ უდგას მოსახლეობას. კარგად გვესმის ამ ქუჩის მნიშვნელობა როგორც ქალაქისთვის, ისე აქ მცხოვრებთათვის. ამიტომ, ჩვენი გადაწყვეტილებით, 9 აპრილის ქუჩა მთლიანად შეიცვლის იერსახეს. სხვათა შორის, ამ საკითხზე არქიტექტორი საყვარელ სალუქვაძე იყო მოსული მერიაში — თვისი იდეა გაგვაცნო, კარგი იქნება თუ ასეთ რამეს გავაკეთებთო და როცა გაიგო, რომ უკვე ვაკეთებდით, გაიხარა თავის ქალაქზე შეყვარებულმა კაცმა;

.— გასწორხაზოვნდება თაყაიშვილის ქუჩის ის მონაკვეთი, სადაც წვიმიან ამინდში უჭირთ გადაადგილება როგორც ქვეითად გამვლელ მოქალაქეებს, ისე ტრანსპორტს;

— გაბიონები გაკეთდება გოლიაძის ქუჩაზე:

— ქალაქში 187 ოჯახს, სახურავის პრობლემა აქვთ, მათ შორის 28 მრავალსართულიანის მცხოვრებია, ვფიქრობთ, პირველ რიგში, შადრევნებთან მდებარე თორმეტსართულიანიდან დავიწყოთ. მოსახლეობამ მოგვმართა კედლებიდან წყალი შემოგვდის და თუნუქი აგვიკარითო. იქ თუნუქი არ ივარგებს, ქალაქის ცენტრია, მაგრამ გამოვძებნით სხვა წყალგაუმტარ საშუალებებს და გავაკეთებთ;

— მეორე საჯარო სკოლის წინამდებარე ტერიტორიის სისტემატურად დატბორვისა და ამის გამო ზამთრის ყინვიან პერიოდში მოსწავლეთათვის და პედაგოთათვის მოსალოდნელი საფთხის შესახებ წერდა თქვენი გაზეთი. შემიძლია გითხრათ, რომ სიკო დოლიძის ქუჩაზე გაკეთდება არხი, რომელიც გაივლის მეორე სკოლის მიმდებარე ტერიტორიას და შეუერთდება მდინარეს.



**მერაბ ჭანუყვაძე:**

დეკემბერი წელიწადის ბოლო თვეა და ამ თვეში მართლაც ბევრი რამ გვაქვს მოსასწრები და გასაკეთებელი:

— დასრულდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები ღირებულებით 93 000 ლარი;

— მერია-ლაითურის ხიდის მშენებლობაზე შესრულდება 800 000 ლარის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;

— დასრულდება მერია-თხინვალის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. შესრულდება 310 000 ლარის სამუშაოები;

— მერია-კონჭკათის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია შესრულებული იქნება 204 000 ლარის ღირებულებით:

— დასრულდება ასკანის წყალსადენის მოწყობის სამუშაოები, სამუშაოების ნარჩენი ღირურებულება 240 000 ლარს შეადგენს:

— სოფელ ბახვში მდინარე დურღანაზე ხიდის, რეაბილიტაცია, ნატანები-თხინვალის (ჯაფარეულა) შემაერთებელი ხიდისა და ლაითური-ცეცხლაურის შემაერთებელი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები დამთავრდება ნარჩენი თანხით 40 000 ლარი;

— მოეწყობა რკინა-ბეტონის გზები შემდეგ სოფლებში:

ლიხაურში, თამარ მეფის ციხესთან, 350 გრძ./მ — 48 000 ლარი,

შრომა-ხრიალეთში, ჩხაიძის სახლთან, 70 გრძ./მ — 97 00 ლარი,

მაკვანეთში (გოგიეთი), ჯონდო ცეცხლაძის სახლთან ბეტონის გზის მოწყობა — 55გრძ/მ-80 00 ლარი,

ნატანებში, წითლიძეების უბანში — 155გრძ/მ —20 800 ლარი,

ნატანებში, სასაფლაოსთან — 185 გრძ/მ — 24 000 ლარი,

ნატანებში, რეჯებ ნაკაიძის სახლთან — 370 გრძ/მ — 48 000 ლარი,

ნატანებში, ჭოლა კალაჯიშვილის სახლთან — 60 გრძ/მ-80 00 ლარი,

ნატანებში, ჯაფარეულის სასაფლაოსთან — 115 გრძ/მ-160 00 ლარი,

ნატანებში, მენაბდისა და თავაძის სახლთან — 80 გრძ/მ-112 00 ლარი,.

შრომა-ეკალდიდის ხიდის მოწყობა — 30 000 ლარი.

— ოზურგეთი-შემოქმედის საავტომობილო გზის სავალი ნაწილის აღდგენა, რკინა - ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა და მდინარე ბჟუჟის კალაპოტის გასწორხაზოვნება —700 000 ლარი;

— სოფ. შემოქმედში (გომი), მდინარე ბჟუჟის კალაპოტის გასწორხაზოვნება სიგრძით 800 გრძ/მ —90 000 ლარი;

— სოფელ ლიხაურში, ამბულატორიასთან გაბიონების მოწყობა 100 გრძ/მ — 72 000 ლარი;

— სოფელ ლიხაურში, სარწყავი არხის სათავესთან გაბიონის მოწყობა 30 გრძ/მ — 24 000 ლარი;

— სოფელ ლიხაურში, რობიზონ ხომერიკის სახლთან გაბიონების მოწყობა 50 გრძ/მ — 25 000 ლარი;

— სოფ. ლიხაურში, გურამ ცერცვაძის სახლთან გაბიონების მოწყობა 200 მ — 156 000 ლარი,

— სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას გადაეცემა 114 000 ლარის ღირებულების 12 500 კვ/მ სახურავი და 80 000 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების სამშენებლო მასალები.

# ინდოელი ინვესტორების საქმიანობა მოსახლეობაში კვლავ ეჭვებს ბადებს

საკუთრების ტერიტორიაზე დაშვებაზე, მაგრამ შემდეგ შეგვიშვეს. ინდური კომპანიის წარმომადგენელმა საგულდაგულოდ გადაიღო მობილურით სარედაქციო მოწმობები. შეგვიშვეს იმ საამქროში, სადაც აკუმულატორების დაშლის შედეგად, გამოყოფილი პლასმასის ნაწილებიდან ე.წ. „კროშკას“ ამზადებენ. რკინის დიდ ჭურჭელში, ნარჩენებიდან გასარეცხად რამდენიმე ტონა „კროშკა“ეყარა. როგორც ჩანს, ისინი ამ გზით „კროშკას“ გოგორდმჟავასა და სხვა მჟავასაგან ასუფთავებენ. საამქრო, სადაც აკუმულატორები ეწყო და სავარაუდოდ სხვა პროცესები უნდა ხდებოდეს, დაკეტილი იყო, მაგრამ ჩვენ მაინც შევძელით კარებზე ამოჭრილი ხვრელიდან ზოგადი სურათის გადაღება. საამქროში უწესრიგოდ ეყარა დაშლილი აკუმულატორები.

ვინაიდან კომპანიის ხელმძღვანელები ადგილზე არ იმყოფებოდნენ, შევთანხმდით, მეორე დღეს კვლავ მივიდოდით.

ინდური კომპანიის წარმომადგენელმა ასევე საგულდაგულოდ გადაიღო ზედამხედველობის სამსახურისა და ყაზბეგის ქუჩის წარმომადგენლების ავტომანქანები. შალვა გაბრიჩიძემაც აღნიშნა, რომ ქარხნის გადაღმა უცნაური სუნი იგრძნობოდა.

შაბათ დილით, კომპანიის დირექტორი ამან ბჰალა დაგხვდა. მან კვლავ „კროშკის“ დამამზადებელ საამქროში მიგვიყვანა. ჩვენი მოთხოვნის შემდეგ, დაკეტილი საამქროს კარებიც გაგვიღეს. ეტყობა მთელი ღამე იმუშავეს, რომ იქაურობა მოეწესრიგებინათ. სპეციალურ ტრაქტორსაც კი ემუშავა.

არანაირ ტყვიას ჩვენ აქ არ ვადნობთ. მხოლოდ პლასმასს ვაწარმოებთ. აკუმულატორების ტყვიის ნაწილებს ვაგროვებთ და გადაუმუშავებლად ვყიდით,“ - გვითხრა ამან ბჰალამ.

„ისე რატომ არაფერს ამბობთ, რომ „ბლექსი ჯგუფის“ ასფალტის ქარხანა მუშაობს, აქედან არც თუ ისე შორს გზის გასამართი სადგური აშენდა და მეორეს ქარხნის წინ აშენებენ -იქნებ ეს სუნი სხვა ობიექტიდან მოდის. ჩვენ ინვესტორები ვართ, ადამიანები დავასაქმეთ და დღემდე ადგილობრივ ხელისუფლებას დახმარების სურვილი არ გამოუთქვამს“- აღნიშნა მან.

ამან ბჰალამ ვერ დაგვისაბუთა, რა დამცავი საშუალებები ჰქონდათ იმისათვის, რომ აკუმულატორების დაშლისას გამოყოფილი მჟავები ჰაერში არ გავრცელებულიყო და მიწაში არ ჩაღვრილიყო. ერთადერთი „ზომა“ ის გახლდათ, რომ ღამით ტრაქტორს საგულდაგულოდ „დაემუშავებინა“ საწყობის მიწის ზედა



ფენა, რომ მიწაში ჩაღვრილი მჟავები არ გვენახა.

შალვა გაბრიჩიძე: „ჩვენ გარკვეულ მონიტორინგს განვახცორციელებთ. ინდური კომპანიის წარმომადგენლებთან შევთანხმდით, რომ აკუმულატორების ახალი პარტიის მიღების შემდეგ, დამუშავების პროცესს დაგვასწრებენ და ადგილზე ვნახავთ არის თუ არა უცნაური სუნი აკუმულატორების გადამუშავებისას წარმოქმნილი.

თემურ ნაკაიძე, ყაზბეგის ქუჩის მცხოვრები: „ერთი ფაქტია, უცნაური სუნი მაშინ მოდის, როცა ქარხანაში აკუმულატორების გადამუშავებას იწყებენ. ხელისუფლებამ მოიწვიოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სპეციალისტები და მათ დადონ დასკვნა, რამდენად არაა საშიში ადამიანის ჯანმრთელობისთვის ქარხანაში მიმდინარე პროცესი. ასევე მოსახლეობას გააცნონ ის დასკვნა, რაც მათ სავარაუდოდ ტყვიის გადამამუშავებელი საამქროს აგების ნებართვას აძლევს.

სპეციალიტების მოწვევამდე კი, როგორც ჩანს, ქარხნის მიმდებარე მოსახლეობას უცნაური სუნის ფონზე მოუწევთ ღვთისაგან ბოძებული ჰაერის ჩასუნთქვა

# ბაში-აჩუკი დიდ ილიას შეურაცხყოფას აყენებს

### საპირისპირო პოლიტიკური შეხედულების მქონეთ კი ნიფხავს ხდის და... წკეპლავს

შაბათს ინტერნეტში „ამბები გე-ს“ გადავხედე. ცნობილ ქართველ კინომსახიობს, რომელიც საკუთარ პოლიტიკურ მოსაზრებებსა და სიმპათიებს არასოდეს მალავდა, ყური მოუკრავს, სააკაშვილს გირგვლიანის საქმეში დებენ ბრალსო და ჯერ აღშფოთებულა, შემდეგ კი ნამეტნავად გაჯეჯილებულა კიდეც... ბატონი ოთარი საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ისე გვიხატავს, თითქოს ამ უკანასკნელს პრეზიდენტობის დროს სხვაც არაფერი შეშლია და ფეხი ჭიანჭველისთვისაც კი არ დაუდგამს. გინდ დაიჯერეთ გინდ არა, მიშას ილია ჭავჭავაძეს ადარებს:

„სისულელეების წერას თავი დაანებეთ! ის ჩვენი დროის და სინამდვილის მოვლენაა! ახალგაზრდა კაცი, ცოცხალი გონებით, სავსე ნიჭით, რომელიც ჩვენ ვერ გამოვიყენეთ... დიახაც, მიხეილ სააკაშვილი ისევე ვერ გამოვიყენეთ ქართველებმა, როგორც ილია ჭავჭავაძე!..“

სამაგიეროდ, იშვიათი სიმშვიდით აღგვიწერს გირგვლიანის მკვლელობას: „რაღაც უთანხმოება მოხდა. ბიჭები სცემდნენ, აიყვანეს იქ, ზევით, გაექცა და გადაიჩეხა... ეს ვერსია ვიცი მე და სრულიად ვეთანხმები!“

ჰმ, ეთანხმება?! რა მამიტები და ბეცები ვყოფილვართ, რას გვინდოდა ევროპაში, რას ვეძებდით სტრასბურგში?! აგერ, ბატონ ოთარს დეტალურად სცოდნია ყველაფერი:

„იმ ადგილს კარგად ვიცნობ, რადგან იქ გადაღება მქონდა! ხევია, ხეებია, იმ ხეებში რომ გაეჩხირა, მერე ხევში გადაიჩეხა საწყალი ბიჭი!“

რამხელა ბედნიერებაა, რომ გადაღების დროს იმ ხევ-ხუვებში სანდროს ბედი არ გაიზიარა ნაბაშიაჩუკარმა მსახიობმა.

არა, მთლად კრიტიკულად თუ კრიზისულად არ არის საქმე, პროგრესიც იგრძნობა ბატონი ოთარის ბოლოდროინდელ ქმედებაში. „ჩვენი დროის და სინამდვილის მოვლენის“ დამნახველმა ბატონმა ოთარ კობერიძემ ცვლილება შეიტანა საპირისპირო პოლიტიკური შეხედულების მქონეთათვის მის მიერ ადრე გამოტანილ ვერდიქტში — ჩამოხრჩობა ნიფხვის გახდითა და... გაწკეპლვით შეუცვალა:

„ერთხელ მაგისთანებზე ვთქვი, ჩამოსახრჩობებია-მეთქი და გამათახსირეს გაზეთებში. ამიტომ ეგეთი ხალხი უნდა გაწკეპლო, ჩახადო ნიფხავი და გაწკეპლო“.

საბედნიეროდ, ზოგჯერ საუბედუროდაც, ამ ქვეყანაში ყველას აქვს საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება. რადგან ჩამოხრჩობა აღარ მემუქრება, ნიფხვის გახდას და გაწკეპლვას როგორმე ავიტან და ვიკითხავ: ქარიზმატული პირის ბრძენ კაცთან შედარებით, ბატონი ოთარი შეურაცხყოფას ხომ არ აყენებს წმინდა ილია მართალს?!

**ანა სეულელი.**

# გამგეობის თანამშრომლებმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის სისხლი გაიღეს

ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებმა სისხლი გასული კვირის პარასკევს, 28 ნოემბერს გაიღეს. პროცედურა გურიის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობაში ჩატარდა.— ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლის გაღება, რა თქმა უნდა, ნებაყოფლობით მიმდინარეობს. არა მგონია რომელიმე ადამიანმა, ვისაც ჯანმრთელობა ხელს უწყობს, მსგავსი ქმედებისგან თავი შეიკავოს. ისე, ამ აქციებს უფრო მეტი მოტივაცია სჭირდება,— გვითხრა აქციიდან ახალდაბრუნებულმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თავმჯდომარის მრჩეველმა საინვესტიციო საკითხებში რამაზ ზოსიაშვილმა, რომელმაც იმ დღეს 200 გრამი სისხლი გაიღო.

# ფირალი სისონა დარჩია

**ენვერ გოგუაძე**



*ნაშრომის ავტორს ენვერ გოგუაძეს, განსაკუთრებული წარდგენა ოზურგეთში კი არა, მთელ საქართველოში არ სჭირდება. და მაინც: ჩვენი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული ისტორიკოსი 1949 წელს დაიბადა. ქალაქ ოზურგეთის №3 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩაირიცხა თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტზე. წითელდიპლომიან კურსდამთავრებულს, 1968 წელს შესთავაზეს კათედრაზე დარჩენა, მაგრამ მან მშობლიური გურიის ისტორიული წარსულის ძიება არჩია, რასაც თავისი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი შეალია. სადაც კი იღვაწა, ყველგან კვალი ნათელი დატოვა, მაგრამ განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, რომელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა.*

*გურიის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან აქვეყნებდა საინტერესო წერილებს გაზეთ „ალიონში“. გარდაცვალებამდე (2005 წლის მაისი) გამოცემული აქვს მეტად საყურადღებო ნაშრომები: „გურია“, „ჯუმათის მთავარანგელოზის მონასტერი“, „ლიხაურის ღვთისმშობლის ეკლესია“, „აჭის ეკლესია“, „ასკანის ქვეყანა“, „შემოქმედი“, „ხალხის ქომაგი გოგია ღლონტი“, „ძველი ოზურგეთი“ და სხვ.*

*„ფირალი სისონა დარჩია“ ენვერ გოგუაძის ერთ- ერთი ბოლო ნაშრომია, რომელიც ავტორმა გამოსაცემად სავარაუდოდ 2000-2003 წლებში მოამზადა და დღემდე არსად გამოქვეყნებულა.*

*ამ საქმეში თანამშრომლობისათვის მადლობას ვუხდით არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბს“, ბატონებს ლევან მჟავანაძეს და ბიძინა მჟავანაძეს, ასევე ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ მუშაკ მანანა მემარნიშვილს, რომელიც ეტაპობრივად გვაწვდის წინამდებარე ნაშრომს გამოსაქვეყნებლად.*

*„სისონაი დარჩიაი ნაქებია ბიჭობაში“.*

დარჩიების გვარი ერთ-ერთი უძველესი და უმრავლესთაგანია გურიაში. იგი ლოკალური წარღვნის ეპოქიდან მომდინარეობს და სათანადო ასახვას პოულობს პალიასტომის ტბის წარმოქმნის ერთ-ერთ ყურადსაღებ ლეგენდაში. 1651 წელს იმერეთის სამეფოს კარზე მყოფ მეფე ალექსი მიხეილის ძის ელჩების — ალექსი იევლევისა და ნიკიფორე ტოლჩანინოვისთვის, ადგილობრივ გადმოცემათა წყალობით, ცნობილი გახდა ლეგენდა, რომელზე დაყრდნობითაც „პალიასტომის ტბაში“, შემდგომში ეგნატე ნინოშვილი გვაუწყებს:

„ეხლა რომ ტბაა, იმ ადგილას თურმე ხმელეთი იყო. ზედ ხალხი იდგა და იმ ხალხს პავლიას ტომს ეძახდნენ. ერთ დღეს ხმელეთმა ძირს დაიწია, ერთ ადგილას მიწა გაირღვა, უცბად წყალი ამოვარდა დედამიწიდან და მთელი სოფელი დაფარა. აქაური ხალხი და ყოველი სულდგმული დაიხრჩო. გადარჩენილა მხოლოდ ერთ დიაკვანი, რომელმაც გაიტაცა მთავარანგელოზის ხატი, აიტანა ჯუმათის მთაზე და იქ შემდეგ ამ ხატს ეკლესია აუშენეს. ეს დიაკონიც, გვარად დარჩია, დეკანოზად დააყენეს“.

აღნიშნული ლეგენდა, რომელშიც უდავოდ ჭეშმარიტების მარცვალია გაჩენილი, მოწმობს დარჩიათა გვარ-სახელის მითოსური დროჟამიდან მომდინარეობას და გარკვევით მიუთითებს მათ უძველეს წარმომავლობაზე. დარჩია კონკრეტულ შემთხვევაში წარღვნაში გადარჩენილი, წარღვნაში ცოცხლად გადარჩენილის ამსახველი გვარსახელია.

1874 წელს ცნობილმა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ, ქართული ერის დიდმა ჭირისუფალმა და ჭეშმარიტმა მამულიშვილმა, დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძემ, იმ ჯუმათის მთავარანგელოზის მონასტერში, სადაც წარღვნას გადარჩენილმა დარჩიამ „პავლიას ტომის“ უმთავრესი სალოცავ სათაყვანებელი მთავარანგელოზის ხატი აიტანა, იხილა ქართული რელიეფური პლასტიკის შესანიშნავი ნიმუში ბრწყინვალე, ფასდაუდებელი მინანქრებით შემკული გაბრიელ მთავარანგელოზის ხატი. დიმიტრი ბაქრაძის აღწერილობით, ხატის სიგრძე 1 არშ. 8 გოჯი, სიგანე 8 გოჯი. თავიდან ბოლომდე გაპობილია. მის მოჭედილობაზე ასეთივე 10 მინანქრის მედალიონია“. მედალიონის წარწერა ბერძნულია, ხელობა — ქართული. შარავანდის ირგვლივ შემოვლებულ ოქროს სირმებიან წრეში ოქროსავე სიმებით ასომთავრულად ნაწერი წარწერა იკითხება: „წმინდა გაბრიელ ...მთავარო“. ხატის ქვედა არშიის ნაფლეთზე ასომთავრული წარწერაა: „სვანთ ერისთავი და მანდატურთუხუცესი, იოანე, მსახურთუხუცეს მთავარი. ესე ხატი მოიჭედა დეკანოზისა დარჩიეისა ხელითა შეუნდოს ღმერთმან“. 3465 როგორც ხატი, ასევე მისი წინამდებარე წარწერა XII საუკუნით თარიღდება, რაც საბუთს გვაძლევს „პალიასტომის წარღვნის მითში“ მოხსენიებულ გვარსახელ დარჩიას ნაშიერთა „ჯუმათ-ბაილეთის ქვეყანაში“ ცხრა ასეული წლის წინათ დეკანოზად ყოფნის უეჭველობის შესახებ. დარჩიების გვარიდან სხვადასხვა დროს სხვა მრავალი წინამძღვარიც ყოლია ჯუმათის მთავარანგელოზს, მრავალ მათგანს შეუვედრებია ქვეყანა ჯუმათის მთავარა-ნგელოზისთვის.

გვარსახელი დარჩია იკითხება ერთ ფრიად ყურადსაღებ ქართულ ხელნაწერზე, მინაწერის სახით. 1890 წლის ივნისში ოსმალთა იმპერიის მფლობელობაში მყოფ ქალაქ ყარსში, კერძოდ ამ ქალაქის სომხურ ეკლესიაში, საცა ამჟამად ამერიკელი მისიონერები დუაიტი და სმიდი იმყოფებოდნენ მათ სანახავად, ვიღაც უცნობი გურიელი მისულა და გასცნობია. თუ ვინ იყო ეს „უცნობი გურიელი“ ან რატომ და რა გზით მოხდა იგი ქ. ყარსის სომხურ ეკლესიაში, საცა ამჟამად ამერიკელი მისიონერები იმყოფებოდნენ, ამის შესახებ საიმედოს, კონკრეტულსა და დამარწმუნებელს საბუთს ჯერჯერობით ვერ ვპოულობთ, მაგრამ აღნიშნულთან დაკავშირებით ერთი რამ მაინც ყურადსაღებია: უცნობ გურიელს მათთვის ძველი და ყურადსაღები ხელნაწერი უჩვენებია, „საქართველოს სინაში“ —კლარჯეთის ათორმეტ სავანეში აღმოჩინებული“, ბერთის სახელგანთქმულ ტაძარში გადაწერილი ოთხთავი, XI საუკუნისა, უკვდავქმნილი მიქაელ ჭიქაურის მიერ, რომელზეც მინაწერთა შორის გარკვევით და მკაფიოდ იკითხება: „ქრისტე შეიწყალე ფრიად ცოდვილი დარჩია“.

დარჩიათა გვარში, რუდუნებით მოღვაწე ღვთის მსახურთა გარდა, ზოგჯერ წარმოჩენილან ამბოხი სულით ქედდაუდრეკელნი, ქედფიცხელი და მყის გულმწყრალნი ფირალთა გუნებისანნი, რომელთაც პირჯვრის წერასა და ლოცვა-ვედრებაზე მეტად ბერდენის სისტემის თოფისა და ორპირალესილი სატევრის ხმარება ემარჯვებოდათ. სისონა დარჩია, რომელიც „გავარდნილის“ და ძმაი მისი ვასილი, ამ მხრივ „უპირველესის“ ეპითეტით არიან შემკული, დაიბადა 1860 წელს, ცნობილი „გურიის 1841 წლის ჯანყის“ გასრულებიდან ზუსტად 21 წლის შემდგომ. ბუნებით იყო ფიცხი და შეუპოვარი. ახასიათებდა და მოსდგამდა განსაკუთრებული „მყის გულმწყრალობა“, სისხარტე და სიკისკასე. იყო უშიშარი, ალღოიანი, გააჩნდა შესანიშნავი ნიჭი და უნარი ურთულესი, დაძაბული, გამოუვალი მოვლენებიდან თავის დაღწევისა. სრულიად მარტოდმარტოს, საჭიროების შემთხვევაში შეეძლო იერიშის მიტანა „ათორმეტ“ სტრაჟნიკთაგან შემდგარ გუნდზე და პირი უკან ებრუნებინა მათთვის. შესანიშნავად ხმარობდა სატევარს, ხანჯალს, ბერდენის სისტემის თოფ-იარაღს, „კაზიონ ლევერველს“ მისი ნასროლი „ყურშუმის ტყვია“ იშვიათად სცდებოდა მიზანს. არც ცხენოსნობაში დაუვარდებოდა ვისმე. მტრის დასამეხებლად იცოდა მოხერხებული ჩაჯდომა-ჩასაფრება, თუ სწორი იყო საფარიდან უეცარი მოსხლეტა და მტერზე პირდაპირი იერიშის მიტანა და მოულოდნელი ელდის მოგვრა, წახდენა და გაშეშება. ექვსი წლის განმავლობაში „უეზდის ნაჩალნიკები“, ბოქაულები, სტრაჟნიკები და მამასახლისები ძრწოდნენ მისი შიშით.

**(გაგრძელება იქნება)**

---

## მურმან დუნდუა

*პოეზია*

### რამ აიძულა

რამ აიძულა გალაკტიონი:
რამ აიძულა?!
ცხოვრების კარი ასე ჯიქურად
რად გაიხურა?!
რატომ დაიწყო მან ლოთობა
დაფიქრდით ერთი?!
მარტონი დარჩნენ დუნიაზე
ისა და ღმერთი.

### გამაკრიტიკეთ

მკითხველო, ნუღარ გამიბრაზდები,
შენგან კრიტიკას ველი,
გამაკრიტიკეთ, მე ყაბულსა ვარ,
ოღონდ არა მკრა ხელი.

### ველოდი და არ გასწორდა

ველოდი და არ გასწორდა,
ბოღმისაგან გასკდა გული,
ღარიბს ბატის ნახარში და
მდიდარს ძველი ინდაური.

### აახმიანე

აახმიანე, ერო, ფესვები,
მყრალ დებულებებს ნუ მისცემ ადგილს,
ქართველი კაცის ადათ-წესები
მართლმამდიდებლურ მცნებებში გადის.

### ვერავის დავსჯით

ჩვენ, ჩვენი სიკვდილით
ვერავის დავსჯით,
რადგან ჩვენ ხვედრი
ასეთი გვერგო
სიკვდილის დასჯა სიკვდილით
მხოლოდ იესომ შეძლო.

### რჩევა

შენ უნდა გახდე ტაძარი
შენი სულისა, წმინდისა!
- ეს არის აღთქმა მთავარი
და რჩევა ჩვენი უფლისა,
მაშინ შენ შექმნი ცხოვრებას
ლაღსა და საწადს გულისას.

### ავიღოთ უნდა

ამ სიდუხჭირეს, მეგობრებო
ხომ უნდა გაძლება?!
დღეს სიმდიდრის მოყვარულნი
სიმდიდრით არ ძღება;
უშედეგოა ლოცვა-კურთხევა,
ღმერთთან ვედრება;
ავიღოთ უნდა კანონითად - ჩვენი ძალით
რაც ჩვენ გვერგება.

### როცა ვხედავ

როცა ვხედავ ჩემს ქვეყანას
მოჯირითეს, მონავარდეს,
გული ისე გადმექცევა,
თითქოს ვკრეფდე ბაღში ვარდებს.

---

<u>ხსოვნა</u>

## ალკაზარ ხომერიკის გახსენება



6 დეკემბერს ერთი წელი შესრულდება შენი გარდაცვალებიდან. შენ ხომ ზეციურ სამყაროში დაიმკვიდრე სამუდამოდ ბინა, რომელიც უსასრულოდ გრძელდება და მონატრებაც დიდხნას გაგრძელდება ჩვენი ცხოვრების მანძილზე.

შენ ხომ უსაზღვროდ გიყვარდა შენი შვილები მარინა და ნანა, ჩვენს დანახვაზეც სიყვარულით თვალები გევსებოდა.

შენ იყავი ისეთი პიროვნება, რომელიც სულ ჩვენზე, ჩვენს შვილებზე, მათ მეუღლეებზე, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებზე ზრუნავდი.

იყავი დინჯი, აუჩქარებელი, აღსავსე სიყვარულით და ერთგულებით.

რაც დრო გადის, უფრო გვიძნელდება შენთან სამუდამო განშორება. სულ მუდამ გვახსენდება შენი წყლიანი თვალები და დარდიანი სახე.

ღმერთმა გამყოფოს სასუფეველში.

**მარინა და ნანა ხომერიკები**

---

## სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს პარლამენტის წევრი ზვიად კვაჭანტირაძე თავისი და პარლამენტის წევრთა ჯგუფის სახელით, იზიარებს ღრმა მწუხარებას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თემთა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ბატონ დიმიტრი კვერღელიძის მამის, **რევაზ კვერღელიძის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ბატონ დიმიტრის და მის ოჯახს.

გაზეთი „ალიონი“ თანაუგრძნობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ დიმიტრი კვერღელიძეს მამის **რევაზ კვერღელიძის** გარდაცვალების გამო.

№3 ბაგა-ბაღის 5-6-წლიანი ჯგუფის აღსაზრდელების დავით მეგრელიშვილის და ელენე ცხომელიძის მშობლები თანაუგრძნობენ პედაგოგ ლალი სამსონიას **მამის** გარდაცვალების გამო.

აფროდიტა თოიძე, ნინო, გიზო ჭელიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **თამარ თავდუმაძე-ვაშაყმაძისა** და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შპს ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრის „ანასეულის“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყოფილი თანამშრომელი **თამარ თავდუმაძე-ვაშაყმაძისა** და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ნაზი, მარინა, ნინო, ავთო ნიკოლაიშვილები, ნუგზარ, გიორგი ასათიანები თანაუგრძნობენ ხათუნა, შოთა, სანდრო სიამაშვილებს მამის **კორნელი სიამაშვილის** გარდაცვალების გამო.

მამიდა კუკური, მამიდაშილები ბიძინა, ციცო, ჟუჟუნა, დინერი ცენტერაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ილია ვაშაყმაძეს დედის **თამარ თავდუმაძე-ვაშაყმაძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე